Junior researchers

ახალგაზრდა მკვლევარები

Vol. 2 Issue 2, 2024

https://doi.org/10.52340/jr.2024.02.02.13

სამშენებლო ობიექტებზე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის როლი ევროპის ქვეყნების მაგალითზე

მარიამ დარახველიძე[1], პროფ. ნინო რატიანი[2]

[1]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, დოქტორანტი, m.darakhvelidze2109@gmail.com

[2]საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, პროფესორი, n.ratiani@gtu.ge

აბსტრაქტი

სამშენებლო ობიექტებზე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აქვთ. მათი სწორად შესრულებული სამუშაო უზრუნველყოფს დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. სტატიაში განხილულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების როლი დასაქმებულების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, ასევე დამსაქმებლებთან ერთად უსაფრთხო სამუშაო გარემოს მოთხოვნების უზრუნველყოფა ევროპის 5 ქვეყნის მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება, პრევენციული ღონისძიებები, სერტიფიცირებული პირი, უსაფრთხოების რეგულაციები.

შესავალი

სამშენებლო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე რისკის შემცველი სექტორია, სადაც დასაქმებულების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. სამშენებლო ობიექტებს მუდმივად თან სდევს უამრავი რისკი მშენებლობის ყველა ეტაპზე. ამ რისკებთან გამკლავება სწორედ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების პასუხისმგებლობაა. ეს ადამიანები არიან პროფესიონალი, სერტიფიცირებული პირები, რომლებსაც შეუძლიათ ობიექტზე არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა იმისათვის, რომ სამუშაო სივრცეში დასაქმებულებს ჰქონდეთ უსაფრთხო სამუშაო გარემო. განვიხილოთ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების როლი ევროპის 5 ქვეყნის მაგალითზე.

საერთაშორისო გამოცდილება.

პოლონეთი. პოლონეთში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების ყოლა სავალდებულოა ყველა დამსაქმებლისათვის. მათი პასუხისმგელობა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ობიექტზე თითოეულ სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება სამუშაოების ყველა ეტაპზე; დასაქმებულთათვის სწავლების ჩატარება შრომის უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციის მიწოდება თავიანთ სამუშაო სივრცეში არსებულ საფრთხეებთან და იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელიც დაგეგმილია საფრთხის აღმოსაფრთხვრელად ან შესამცირებლად, ასევე ინფორმაციის მიწოდება იმ ინდივიდუალური თუ კოლექტიური დაცვის საშუალებებზე, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია; შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ასევე ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკას და მოჰყავს იგი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში; მისი პასუხისმგებლობაა ობიექტზე მომხდარი უბედური შემთხვევების შესწავლა, აღრიცხვა - მიზეზის გამოკვეთა, რათა შემუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ მსგავსი შემთხვევა აღარ დაფიქსირდეს. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კიდევ ერთი ვალდებულებაა რეგულარულად ობიექტზე ინსპექტირების განხორციელება, აღჭურვილობის გამართულობის შემოწმება და კონტროლი, თუ რამდენად სწორად გამოიყენებენ დასაქმებულები აღნიშულ აღჭურვილობებს. დასაქმებულებთან თანამშრომლობა ამ საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან სწორედ დასაქმებულები ხედავენ ყველა იმ საჭიროებას, რაც ობიექტზე დგას. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა ასევე უნდა მოახდინოს შიდა რეგულაციების განახლება კანონმდებლობის ცვლილებების შესაბამისად.[1]

ესპანეთი. ესპანეთში დიდი ყურადღება ექცევა საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასების პროცესს სამშენებლო საქმიანობის დაგეგმვის ეტაპიდან, შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის როლი სწორედ ამ ეტაპიდან იწყება, როდესაც ხდება სამშენებლო უბნის აღწერა, მისი მდებარეობისა და განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვა.[2]

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება, რაც გულისხმობს სამშენებლო ობიექტზე არსებული ყველა საფრთხის იდენტიფიცირებას;
2. პრევენციული ღონისძიებების შემუშავება - ობიექტზე არსებული საფრთხეებიდან გამომდინარე რისკების შემცირების მიზნით ღონისძიებების დაგეგმვა;
3. დოკუმენტაციის მომზადება და შენახვა - რისკების შეფასების დოკუმენტის მომზადება და შესაბამის ვადაში განახლება;
4. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება - ობიექტზე შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება, გატარება და დასაქმებულთათვის გაცნობა;
5. პრევენციული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგი - რისკების შემცირების მიზნით დასახული პრევენციული ღონისძიებების შესრულების უზრუნველყოფა;

6. უბედური შემთხვევების მოკვლევა - ობიექტზე უბედური შემთხვევის მოხდენის შემთხვევაში მისი მოკვლევა, მიზეზის დადგენა და დოკუმენტირება;
7. დასაქმებულთათვის სწავლებების ჩატარება - დასაქმებულთათვის თავიანთ სამუშაო სივრცეში და სამუშაო აღჭურვილობასთან დაკავშირებული საფრთხეების გაცნობა და ზოგადი შრომის უსაფრთხოების წესებზე ინფორმაციის მიწოდება;
8. შრომის ინსპექციასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა - შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ჩართულია მაკონტროლებელ ორგანოსთან თანამშრომლობის პროცესში, რათა უზრუნველყოს მათ მიერ გაცემული მითითებების შესრულება;
9. შრომის უსაფრთხოების რეგულაციების განხორციელება - შიდა რეგულაციების მუდმივი განახლება კანონმდებლობის შესაბამისად.

ესტონეთი. ესტონეთში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას დიდი ყურადღება ექცევა, განსაკუთრების ისეთ სექტორში, როგორიც არის მშენებლობა. შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მისი ფუნქცია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები კი შემდეგნაირად არის განაწილებული: ობიექტზე არსებული რისკების რეგულარული ანალიზი; არსებული საფრთხეების დოკუმენტირება და პრევენციული ღონისძიებების შემუშავება; რისკების მართვის სტრატეგიების შემუშავება; პრიორიტეტების განსაზღვრა მაღალ რისკიანი პროცესებისათვის; თანამშრომლების საქმიანობის უსაფრთხოების შემოწმება; პოტენციური დარღვევების დროული აღმოჩენა და აღმოფხვრის რეკომენდაციები; თანამშრომელთათვის შრომის უსაფრთხოების საკითხებზე სწავლებების ორგანიზება; დასაქმებულთათვის განახლებული რეგულაციების გაცნობა; უბედური შემთხვევების ანალიზი და პრევენციული ღონისძიებების რეკომენდაცია; ინციდენტების მიზეზების გამოვლენა და შემდგომი რისკების მართვა; დოკუმენტაციის წარმოება მომხდარ უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებით; შრომის ინსპექციასთან თანამშრომლობა და მათი მოთხოვნების შესრულება; სამუშაო პროცესში საჭირო მანქანებისა და აღჭურვილობის ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.[3][4]

საფრანგეთი. საფრანგეთში რისკების შეფასების სისტემა წარმოადგენს სამუშაო ადგილებზე შრომითი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმს, შესაბამისად რისკების შეფასების დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება აქვს ყველა იმ დასაქმებულს, რომელსაც ჰყავს ერთი ან მეტი თანამშრომელი. საფრანგეთში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მთავარი მოვალეობები შემდეგნაირად არის განაწილებული:

- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პასუხისმგებელია სამუშაო ადგილებზე ყველა პოტენციური რისკის გამოვლენაზე და მათი შეფასებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნაზე.
- სპეციალისტი ადგენს პრევენციულ გეგმებს, რომლებიც მიზნად ისახავს რისკების შემცირებას, თავიდან აცილებას ან კონტროლს. ეს მოიცავს მუშაობის პროცესების ანალიზს, ახალი ტექნოლოგიების და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პასუხისმგებელია რისკების მართვის პროცესის მონიტორინგსა და განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობის შეფასებაზე.
- ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა არის თანამშრომელთა განათლება უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ. ეს შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სახის ტრენინგებს, ვარჯიშებს და საინფორმაციო შეხვედრებს.
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პასუხისმგებელია ინციდენტების, უბედური შემთხვევების ან ავარიების გამოძიებაზე. მასზეა დაკისრებული პასუხისმგებლობა, რათა ამ ყველაფრის საფუძველზე წარმოდგენილი იყოს ანალიზი და მიღებული იყოს შესაბამისი პრევენციული ზომები.
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი რეგულარულად განიხილავს რისკების შეფასების დოკუმენტებს, ინციდენტების შესახებ მოხსენებებს და თანამშრომელთა ტრენინგების ჩანაწერებს.
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ასევე აქტიურად უნდა მუშაობდეს სოციალურ-ფსიქოლოგიური რისკების მართვაზე, როგორიცაა სტრესი, ქცევის პრობლემები და სხვა.

იტალია. იტალიაში სამშენებლო სექტორში შრომის უსაფრთხოება მკაცრად რეგულირდება, რადგან ეს სფერო განსაკუთრებით მაღალი რისკისაა უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თვალსაზრისით. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები პასუხისმგებელნი არიან რისკების შეფასებაზე, უსაფრთხოების ზომების დანერგვაზე და თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვაზე სამუშაო ადგილებზე. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პასუხისმგებელია სამუშაო ადგილზე არსებული რისკების შეფასებაზე და მათ დოკუმენტირებაზე. ასევე ხელს უწყობს რისკების შემცირებას და თავიდან აცილებას შესაბამისი ღონისძიებების მიღებით. ის მონაწილეობს ორგანიზაციაში უსაფრთხოების კულტურის შექმნაში და შესაბამისი სტანდარტების დანერგვაში. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებმა უნდა უზრუნველყონ თანამშრომელთა შესაბამისი ტრენინგებით უზრუნველყოფა. ეს მოიცავს როგორც უსაფრთხოების ინსტრუქციებს, ასევე პირველადი დახმარების კურსებს და სხვა შესაბამისი ცოდნის გაზიარებას, პასუხისმგებლები არიან ინციდენტების, ავარიების ან უბედური შემთხვევების გამოძიებაზე. სპეციალისტებმა უნდა გააკონტროლონ სამუშაო ადგილებზე არსებული აღჭურვილობა და უზრუნველყოფენ მათი უსაფრთხო და ოპტიმალურ მდგომარეობაში ყოფნა, ასევე პასუხისმგებლები არიან სამუშაო გარემოს და პირობების მუდმივ მონიტორინგზე. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები თანამშრომლობენ შრომის ინსპექციასთან და უზრუნველყოფენ ორგანიზაციის მხრიდან შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების სრულად შესრულებას.

დასკვნა. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ყველა ზემოთ განხილულ ქვეყანაში აქვს ძალიან მნიშვნელოვანი როლი, რადგან სწორედ ამ ადამიანებზე არის დამოკიდებული ობიექტებზე დასაქმებული ადამიანების სამუშაო გარემოს უსაფრთხოება და შესაძლო უბედური შემთხვევების თავიდან აცილებაში ძალიან დიდ როლს თამაშობენ. მათი როლი ყველა ზემოთ აღნიშნულ ქვეყანაში თითქმის მსგავსია და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან

საკითხებს, როგორიც არის საფრთეების იდენტიფიცირება, დასაქმებულთათვის სწავლებების ჩატარება, უბედური შემთხვევების აღწერა და დოკუმენტირება, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და კონტროლი მათ შესრულებაზე, პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა, ტექნიკური აღჭურვილობის კონტროლი და თანამშრომლობა შრომის ინსპექციასთან. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საფრანგეთში შრომის უსაფრთოების სპეციალისტის პასუხისმგებლობებიდან გამოკვეთილია ფსიქოლოგიური და ფსიქო-სოციალური რისკების მართვა. მიუხედავად იმისა, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია შეაფასოს ობიექტზე არსებული ყველა რისკი, მისი ვალდებულებაა განსაკუთრებით გაამახვილოს ყურადღება ფსიქოლოგიურ რისკებზე, რადგან აღნიშნული რისკები შესაძლოა გახდეს მიზეზი ობიექტზე უბედური შემთხვევის მოხდენისა. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ის, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები არიან ადამიანები, რომლებსაც ობიექტზე აქვთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი - იზრუნონ დასაქმებულების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე და მაქსიმალურად უზრუნველყონ დამსაქმებლებთან ერთად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. MINISTRA PRACY I POLITYKI SOCJALNEJ. (1997). w sprawie ogólnych przepisów bezpieczeństwa i higieny pracy.
2. Ministerio De Trabaji Y Economia Social. (n.d.). Instituto Nacional de Seguridad y Salud en el Trabajo. https://www.insst.es/
3. Republic of Estonia Labour Inspectorate. (2023). Yearbook of the Labour Inspectorate2023. ესტextension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.ti.ee/sites/default/files/documents/2024-04/TI%20aastaraamat%202024%20ENG.pdf
4. Riigikogu. (1999). Töötervishoiu ja tööohutuse seadus.

The role of a occupational safety specialist on construction sites based on the example of European countries

Abstract

Occupational safety specialists have a very high responsibility in construction work. They can perform work to protect the life and health of employees. The article discusses the role of occupational safety specialists in protecting the life and health of employees, as well as in ensuring a safe working environment together with employers on the example of 5 European countries.

Keywords: occupational safety expert, information identification, risk assessment, preventive measures, certified person, safety regulations.